საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბერგი ლევ სიმონის ძე

ბერგი ლევ სიმონის ძე [2 (14). III. 1876, ბენდერი, მოლდავეთი, – 24. XII. 1950, ლენინგრადი], რუსი ფიზიკური გეოგრაფიის სპეციალისტი და ბიოლოგ-იქთიოლოგი. სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1946). რსფსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1934).

ბ-ს მრავალმხრივი მოღვაწეობის გარდა დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს მტკნარი წყლების იქთიოლოგიურ კვლევაში. 1909 იმოგზაურა ჩრდ. კავკასიაში, სამხრ. კავკასიაში, მ. შ. საქართველოშიც, სადაც შეგროვილი მტკნარი წყლების იქთიოლოგიური მასალის ანალიზის საფუძველზე აღწერა 2 ახ. სახეობა (კოლხური კვირჩხილა – Phoxinus colchicus, კავკასიური ბუბირი – Pomatoschistus caucasicus), 2 ქვესახეობა (აღმოსავლური კაპარჭინა – Abramis brama orientalis, ამიერკავკასიური ბლიკა – Blicca bioerkna transcaucasica) და 1 ნაცია (მტკვრის ნაფოტა – Rutilus r. caspius natio kurensis).

ბ-მა პირველმა დაასაბუთა მეცნიერულად, რომ ტბის კალმახი მდინარის კალმახისაგანაა წარმოშობილი.

მ. დემეტრაშვილი